№ 207

კვირა, 23 სექტემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12. . .	10	—	6 . . .	6	—
11. . .	9	50	5 . . .	5	50
10. . .	8	75	4 . . .	4	75
9. . .	8	—	3 . . .	3	50
8. . .	7	25	2 . . .	2	75
7. . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

1877-1901

ივერია

№ 207

კვირა, 23 სექტემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული თეატრი

კვირას, 23 სექტემბერს 1901 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა

I

ირინეს ბედნიერება

სცენები 2 მოქმედებად, თხზ. დ. კლდიაშვილისა.

II

პირველი ბუზი

კომედია 3 მოქმედებად, თარგ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ტასო აშიძე, მდივანი, გარელი, აფხაზიშვილი, კავთელი, გივიშვილისა; ბ-ნნი: აშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, ყურელი, იმედაშვილი, სარჯველაძე, მირიანაშვილი, ურუშაძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

ანტრაქტებში დაუკრავს ბ. ლოიკოს მებალალაიკეთა ხორო.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

მზადდება შემდეგი ახალი პიესები: „გაცრუებული იმედები", კომედია 3 მოქ.; „ჯადო სიყვარულისა", დრ. 4 მოქ.

(3—6.—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(სუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. დოსტაქრო ,ვენერიული (სიფილი-ი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. ნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ტერ-აპეტიანცი. 1—$1^{1}/_{3}$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—$7^{1}/_{2}$ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნვით.

გ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ბუჰალტერიისა და საკანტორო ცოდნათა

კურსები

ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან

(წლიწადი მეორე)

ორისავე სქესის წერა-კითხვის მცოდნეთათვის და პრაქტიკული კურსები **ნემეცურის ენისა** მოზრდილთათვის.

სწავლა დაიწყება 2 ოქტომბერს. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება ტფილისის საკომერციო სასწავლებელში (ჩუღურეთი, საკუთ. სახლი), ყოველ დღე 9—2 საათამდე, კვირაობით 12—2 საათამდე.

(10—6.—7)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

ქართველთა ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ **საკერავს:** კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.

(10—უ—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

სუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი [illegible], № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ს. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ვ. ლ. მარქევიჩი.—საქირურგო, $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1^{1}/_{2}$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

საიუბილეო დღესასწაულების წესი.

24 სექტემბერი.

უმაღლეს გვამთ ვოგზალზედ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლნი შეეგებებიან აღნიშნულ გუბერნიების თავად-აზნაურებთანა და საპატიო მანდილოს-

ფელეტონი

—

წკიპურტი

ადულის დუდუნი. — საოცნებო სურა-
ი. — გაგონილი ლაპარაკი. — უცნაური მან-
ნა. — ორი დარბაისელი. — გიჟუა და დარ-
. — გიჟუა და ფირუზა. — თავადიშვილის
ჩივილი და... აბდულ-ბალის სიმღერა.

—

დაფიქრებული დავდიოდი თავ.
დრონიკაშვილის სამთავრო - სა-
რისთავოში. ბინდმა ახლად დაჰკრა
მოფენის მიწა-წყალს. სარაჯოვის
ბატ ფარდიდგან მთვარე რაღაცა
მცინავის ღიმილით გამოიხედებო-
ა, თითქოს იმისი თქმა უნდა,
ომ ყალბი ვარ მეცა და ყველა
მს გარს საასწლეოდ ასე უცბად
ორიაქებული გრძნობაცაო. იქა-
, ამ მთვარის მკრთალს შუქზედ,
ლოვს-ღა მოსჩანდა ჩვენს ცხოვრე-
ავით ერთს ადგილას მილურს-
ლ და გაქვავებულ ჯიხვის ნაკვ-
. მთელს ამ საოცნებო სურათს,
ცოცხლოსა და უმოძრაოს, ახმაურებდა მხოლოდ პაწია წყარო, ჯიხვის მახლობლად ქვიდგან ქვაზედ დუდუნითა და ბუტბუტით მოწანწკარე. ბევრი რამ გამახსენა ამ ნეკის სიმსხოდ საცოდავად ჩამოწრეტილმა ნაკადულმა, ბევრი რამ ჩამდუდუნა ისეთი, რაც ჩემსა და შენს ყურში ჩაღწეული იქავე სამარესა ჰპოვებს, მკითხველო...

ეს პაწია მთა მის შვილ წყაროთურთ თითქო ჩვენის ქვეყნის აწინდელს ვითარებასა და ბედს გვითვალისწინებდა. ოდესღაც მთელის საქართველოს დარაჯი ზუმბერაზი მთა აწ საბრალოდ დაკნინებულიყო, კავკასიონის მთა-გრეხილის არა ერთგან დაქანებულ, დაჩითულ კალმახის მშობელ ჩანჩქერის მაგიერობას აწ ეს პაწაწა წყარო სწევდა, ჰეკინის იხვების საწკუმპლავად გამხდარი. ვუცქეროდი იქაურობას და ოცნება, აწმყოთი მოშხამული, წარსულისაკენ მეზიდებოდა. ასე მეგონა, საცაა მთის გადაღმიდგან „მთის არწივი" მეფე ერეკლე გამოჩნდება თეთრის ცხენით და მისი მამაცი ჯარი აახმაურებს ამ მთის მდუმარებას-მეთქი... იქვე, ამ სურათის მარცხნივ, კარავიდგან ლეკი გამოსულიყო და მწუხარე სახით მიჰყრდნობოდა ხელთ-ქმნილს კავკასიონის მთას... ის აღარ იყო ის მთის შვილი, ის ხელ-მარჯვე და კისკასი ვაჟკაცი, რომელიც ერთს დროს შიშის ზარსა სცემდა მიდამოს. ხელში ბასრ ხმლის ნაცვლად სიმ-დაწყვეტილი ჩანგური ეჭირა და ისე შესაბრალისად, ისეთის შენატრებულის სახით შესცქეროდა იქაურობას, რომ ეტყობოდა, მისი გონება წარსულში ჰქროდა, წარსულით საზრდოობდა და ჰნუგეშობდა.

ამ ფიქრებში ვიყავი, რომ ვიღამაც დაიძახა: „მეფე მოდისო!.." თავი მაღლა ავიღე და ჩემ ცხვირწინ ფეხ-აჩქარებით გაიარა გამოფენის კომისარმა, რომელსაც უკან ცალს მხარეს სალაროთ-უხუცესი მისდევდა ტყავის აბგით და მეორე მხარეს—მთავარ-საჰურისი. სამივენი ჰარამხანისაკენ მიეშურებოდნენ. ამათის ნახვით ბურანიდგან ახლად გამორკვეულს საიდგანღაც სარკასტიული ხარხარი შემომესმა. არ ვიცი, მე გადავიხარხარე, ლეკმა, თუ ჯიხვმა, რომელმაც, როგორც მეჩვენა, ამ დროს კისერიც-კი მოიბრუნა და კომისარს თვალი გააყოლა...

◆ ◆

— არც ერთი განყოფილება არ არის, რომ სავსებით აღნიშნავდეს ჩვენის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მდგომარეობასაო, ამბობდა ვიღაც დარბაისელი, მეგობართან ერთად მომავალი მოსეირე ხალხში: აქ, გამოფენა-კი არა, უწესოდ მიყრილ-მოყრილი ნივთებია აჩხორკებული და ძაღლი პატრონს ვერ იცნობს. ჩვენი ქვეყანა უნდა გაგვეთვალისწინებინათ და ქართული ქოხი ვერსად დასდგეს, ეს გამოფენაა!.. მეღვინეობის განყოფილებაში ქვევრი ვერა ვნახე, სულ ვიღაც ოგანოვებისა და მაკაროვების ქაღალდ-მიკრულის ბოთლებით გაუვსიათ. აი, ეს გახლავთ სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა, რომელმაც ჩვენის ქვეყნის ასის წლის ზრდა და განვითარება უნდა დაგვანახვოს!.. სასაცილოდ იგდებენ ხალხსა, მართალი თუ გნებავთ, ეს არის!..

— რაც შეეხება ი ფუნდრუკა ქალებსაო, გამოეხმაურა მეორე დარბაისელი: ძალა და უფლება რომ მქონდეს, იმ მესხს ვურჩევდი თავისი სავაჭრო შორს სადმე გადაეტანა... დავსჯიდი კიდეც, რომ ასე სასაცილოდ აიგდო საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის დღესასწაული. არა, რა საიუბილეოდ საჩვენებელი იყო, შენს ლხენას, პარიზული კანკანი და ფეხების თამაში, რის დამხასიათებელია იგი და რის აღმნიშვნელი ჩვენს რუსეთთან შეკავშირების ცხოვრებაში? მაგისთანა ჯამბაზები ქალაქ გარეთ საღრეობო-საქეიფო ბაღებში უნდა მიეწვიათ და არა გამოფენაზედ, რომელიც ჩვენის კულტურულ ზრდის მაჩვენებელი უნდა იყოს...

◆ ◆

— საკვირველი მანქანა მოუგონია ერთ ვიღაცა წვერ-ულვაშ გაპარსულს კაცსაო, ეუბნებოდა ყმაწვილს ქალს მისი თმებ-გაშვებული მოსაუბრე: ეს მანქანა მთავარ-ფარდულის პირდაპირ, შემოსავალ კარების მარცხნივ იქნება თურმე გამოფენილი. მანქანას ორი დოლაბი აქვს და ხელით სატრიალებელი ჩარხიო. ერთს დოლაბში რომ ჩვენი „გოგონას" მოცეკვავე ტეტია ჩასვა, მეორე დოლაბიდგან ისეთი

ნებთან ერთად; თავად-აზნაურთა საპატიო დარაჯი და საპატიო ცხენოსანნი.

25 სექტემბერი.

9 საათზედ. დილით. დასაწყისი წირვისა.
11½ ს. დილისა. პანაშვიდის დასაწყისი. პანაშვიდის შემდეგ—მცირე მრავალ-ჟამიერი.
(სიონის საკრებულო ტაძარში.)

26 სექტემბერი.

9 ს. დილისა. წირვა დაიწყება სიონის ტაძარში.

9 ს. დილისა. მთავარ-მართებლის სასახლეში თავად-აზნაურნი წარუდგებიან (წარსადგომად თავად-აზნაურნი თავიანთს წინამძღოლთან ერთად მოვლენ). წარდგომის შემდეგ სიონის საკრებულო ტაძარში წირვას დაესწრებიან.

11 ს. დილისა. წირვის შემდეგ სიონის ტაძრიდგან ჯვრის გამოსვენება იქმნება (გზაზედ ჯარები იდგებიან უიარაღოდ).

11¾ ს. დილისა. ჯვარს გუნიბის მოედანზედ მიასვენებენ პარაკლისის გარდასახდელად.

12½ ს. დილისა. პარაკლისი გათავდება.

3 ს. დღისა. ჯარებს თავად-აზნაურობა და ქალაქი გაუმასპინძლდება ვერაზედ, საარტილერიო ყაზარმებთან.

8½ ს. საღამოსი. სადღესასწაულო წარმოდგენა სახაზინო თეატრში, რომელსაც თავად-აზნაურობა გაჰმართავს.

27 სექტემბერი.

10 ს. დილისა. წარმოდგენა სახაზინო თეატრში, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის წარმომადგენელთა და კავკასიის ომების მეომართათვის ჯარის-კაცთაგან (დასაწყისი სახალხო დღესასწაულობისა მთავარ-მართებლისაგან).

2 ს. დღისა. სადილი და სახალხო დღესასწაული სადოლო მოედანზედ აღნიშნულ წარმომადგენელთა და მეომართათვის.

7½ ს. საღამოსი. თავად-აზნაურობის სადილი ტფილისის არტისტიულ საზოგადოების შენობაში.
საღამოთი ფეიერვერკი, რომელსაც ქალაქი ტფილისი გაჰმართავს ტფილისის გორებზედ.

28 სექტემბერი.

12½ ს. დღისა. ქალაქის ტფილისის საუზმე ტფილისის საკრებულოს შენობაში (მიხეილის ქუჩაზედ).

9 ს. საღამოსი. თავად-აზნაურობის ჩაი ტფილისის კრუჟოკის საზაფხულო შენობაში.

29 სექტემბერი.

1 ს. დღისა. მთავარ-მართებლის საუზმე ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წარმომადგენელთათვის.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი უმორჩილესადა სთხოვს ყველა თავად-აზნაურს შესასვლელი ბილეთებისა თუ საჭირო ცნობებისათვის დღესასწაულობაზედ დასასწრებლად ყველამ თავ-თავიანთს მაზრის წინამძღოლს მიჰმართონ.

ახალი ამბავი

⁂ გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი გუშინ, 22 სექტემბერს, ტფილისიდგან ბალაჯარაში წავიდა.

⁂ დღეს, 23 სექტემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში ქართული წარმოდგენაა დანიშნული. წარმოადგენენ ახალს 2 მოქმედებიანს პიესას დ. კლდიაშვილისას „ირინეს ბედნიერებასა“ და 3 მოქმედ. კომედიას „პირველს ბუზს“ (თარგმ. ვ. გუნიასი).

⁂ დღეს ტფილისში სომეხ-გრიგორიანთა კათალიკოსს მკრტიჩს I მოელიან. კათალიკოსი მომავალს საიუბილეო დღესასწაულებს დაესწრება.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსი ინჟენერი ე. ლ. ვედენეევი სამსახურის საქმეებისა გამო პეტერბურგს მიდის.

⁂ სასულიერო უწყებაში ლაპარაკი აღუძრავთ ეკკლესიის მსახურთა სიცოცხლის დასაზღვევად საგანგებო საეპარქიო კომიტეტები იქმნეს დაარსებული.

⁂ რადგანაც ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის ძველმა თავმჯდომარემ ბ-ნმა სულხანიშვილმა და ხაზინადარმა ბ-ნმა ყიფიანმა თავიანთს თანამდებობას თავი დაანებეს, გამგეობამ თავმჯდომარედ ნ. ქართველიშვილი აირჩია, ხოლო ხაზინადრად გ. დეკანოზიშვილი.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსს განკარგულება მოუხდენია, რკინის გზის სადგურების პლატფორმაზედ სადგურის უფროსის თანაშემწეებმა წითელი ქუდი არ დაიხურონ ხოლმე, რომ მგზავრებს საშუალება მიეცეთ სადგურის უფროსი თანაშემწისაგან გაარჩიონ.

⁂ დღეს, 23 სექტემბერს, დაიწყება სწავლა ვერის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიის ვაჟების საკვირაო სკოლაში.

⁂ სატახტო ქალაქის გაზეთეზი იწერებიან, რკინის გზის მუშებისათვისაც იგივე სამკურნალო-სასანიტარო წესები იქმნება შემოღებული, როგორც ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებისათვის არის შემოღებულიო.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტრომ კავკასიის ადმინისტრაციას წინადადება მისცა, საახალშენო დებულება სრულიად გააუქმოს დაარსებული ახალშენები საზოგადო ადმინისტრაციას დაუმორჩილოსო, იწერებიან სატახტო ქალაქის გაზეთები.

⁂ კავკასიის გამოფენის ბეჭდვითი საქმის განყოფილების გამგეთ თავ. გ. მ. თუმანიშვილი იქმნა არჩეული.

⁂ გზათა სამინისტროს შეუმუშავებია ახალი წესები იმის შესახებ, თუ გზათა უწყების აღმშენებელ-ინჟენერის წოდება რა რიგად შეიძლება მიეცეს გარეშე კაცებს (ვისაც აღნიშნული უფლება არა აქვს მინიჭებული). თანახმად ამ ახალის წესებისა, მსურველთ მოსკოვის საიმპერატორო საინჟენერო სასწავლებელში გამოსცდიან ყოველ-წლივ ნოემბერსა და დეკემბერშიო.

⁂ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, მალე ქალებს ნებას თურმე დაჰრთავენ საბეითალო ინსტიტუტში იქმნენ მიღებულნი ყურის მგდებლადა.

⁂ როგორც გაზ. „Нов. Обозр.“ ატყობინებენ პეტერბურგიდგან, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლად თავ. სიმონ ლორთქიფანიძე დაუმტკიცებიათ.

⁂ ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილედ ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს დაუმტკიცებია ბ-ნი შესტაკოვი. როგორც ვუწყით, ორი კაცი იყო წარდგენილი—თავ. ჩერქეზიშვილი და შესტაკოვი.

⁂ კავკასიის მეურნე-მებაღეთა კრების მე-5 სექციას მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ სხდომები ჰქონდა 21 და 22 სექტემბერს. პირველს სხდომაზედ განხილულ იქმნა იმ სექციის თავმჯდომარის ბ-ნ გოგოლ-იანოვსკის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ გავრცელდა ევროპაში სეტყვასთან საბრძოლველი ზარბაზანი და რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მას. მომხსენებელმა აღნიშნა ის გარემოება, რომ კავკასიაში მევენახეობა ძალიან არის გავრცელებული და აგრეთვე ის, რომ სოფლის მეურნეობის ამ დარგის განვითარებას დიდად აფერხებს სეტყვა. რათა ამ უბედურებას ხალხმა თავი დააღწიოს, საჭიროა მასთან ბრძოლის საქმე რიგიანად მოეწყოსო. კარ-გა ხანს კამათის შემდეგ, კრებამ გარდასწყვიტა ამოირჩიოს კომისია, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ზოგიერთ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა; კომისიის თავმჯდომარეობა უნდა სთხოვონ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნ სვეჩინს. ამ კომისიამ უნდა გადასწყვიტოს, როგორ მოაწყოს სეტყვასთან ბრძოლის საქმე ისე, რომ ხალხი შეეჩვიოს ზარბაზნის ხმარებას. მეორე სხდომაზედ განხილულ იქმნა ორი-სამი მოხსენება საზოგადოდ მევენახეობის მდგომარეობის შესახებ. რადგანაც გამოირკვა, რომ მეტად საჭიროა მევენახეობის განვითარებისათვის სპეციალურ ცოდნის გავრცელება ხალხში, კრებამ თითქმის ერთხმად გამოსთქვა სურვილი დაარსებულ იქმნას კავკასიაში საშუალო ტიპის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, სადაც უმთავრესი ადგილი უნდა დაეთმოს მეურნეობის ამ დარგის შესწავლის საქმეს.

⁂ ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობის ნებართვით ამ სემინარიაში შემოღებულ იქმნა კვირაობით სალიტერატურო საღამოები. კითხვაში მასწავლებლების გარდა უფროს კლასის მოსწავლენიც მიიღებენ მონაწილეობას.

⁂ ტფილისის ქალაქის საბჭო ხვალ, 24 სექტემბერს, განიხილავს იმ საქმეებს, რომელიც 17 სექტემბერს სხდომაზედ დარჩა განუხილავი.

⁂ ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიის მიერ შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვით, 1902 წელს ქალაქის ხარჯით დაარსებულ სკოლებს ესაჭიროება სულ 145,263 მანეთი. ეს ხარჯთ-აღრიცხვა განსახილველად წარედგინება ახლო მომავალში ტფილისის ქალაქის გამ-

---

უცნაურად გადასხვაფერებული გამოვა, რომ ბუქნით სულ „კალინამალინას“ დაუვლის თურმე...

◆◆

— ვინ ამბობს, ვაჭრობა კარგი საქმეა, ჰკუა უხმარიათ, რომ ეს დუქან-ბაზარი გაუმართავთო, ეუბნებოდა გიჟუა დარჩო ვაჭარს: მაგრამ ეს მაკარიიდგან რომ ქალები ჩამოუყვანიათ, ეგ-კი როგორღაც უზურში ვერ მოდის. ახრ, არ გვიხდება-და, დარჩო, თორემ იქ, ნიჟნიში, ხომ გახსოვს, რამდენი რამ ლუპუსტაცობა ჩაგვიდენია!... შენი ნათლიდედა მინდოდა წამომეყვანა, დაათვალიეროს, კარგი სანახავია-მეთქი, მაგრამ შემეშინდა, ამ სიბერის დროს ქუჩაში არ გამივარდეს-მეთქი... შენ იცინი, მაგრამ მეტად აშკარად არის-და ყველაფერი!...

— გიქო, შენ ამ მარკების ბუღალტერია გამაგებინე... ჰკუას ძალა დავატანე, ჰამა ვერა გავიგერა. ახარ, ფულით მარკას ჰყიდულობ, მერე ამ მარკას იმათვე ფულად აძლევ. ეს რაღაცა ტუტუცური გაცვლა-გამოცვლა გამოდის. ამბობენ, მთელი ეს ქარვასლა ანდრონიკოვს აუღია იჯარით, ამხანაგებიცა ჰყავს და ეს იმიტომ მოუგონიათ, რომ ერთმანეთთან პირნათლად გამოვიდნენო. კარგი, მაგრამ ეს სადაური ანგარიშია...

◆◆

— ფირუზ, ბიჭო, შენ ეს მითხარ, ამ ოხერ „ვისტავკაში“ კუბო შეგხვდა სადმე?!.. ხმა მაღლა ეკითხებოდა გიჟუა თავისს შეზარხოშებულს ამფსონს და თან ხელგადახვეული მოსდევდა: ვააა, ეს ყველაფერი არის: საჭმელი, ტანისამოსი, ხილი, აკვანი, მღვდელიც-კი შემხვდა სადღაც, მაგრამ კუბოს ვერსად მოვკარი თვალი?!.. ჰაა, ჰაი-თუ ჩაწვები შენცა მუქთა კუბოში, აიქ, ქვემო უბანში, საბანაოდ რომ დატიტვლებულან!..

— შენ ხუმრობ, გიჟო, და ჩემი ვინმე რომ იყოს, აქვე ყელს გამოვჭრიდი საშობაო ღორივით. ფეხები სად მიჰქონდათ, კაცო, ჰნახე?!. ვაი, ვაი, თქვენი ქვეყნის წყალი-კი დაშრეს, აჰაი!.. აფსუსი არ არის ჩვენი მაშადი-სონა, ყველაზედ ჯომარდად ისევ ის იქცევა.

◆◆

—დედაკაცო, ე სად მომიყვანე?!. შე ოჯახ-დასაღუპავო, როგორც დაგღუპვია ოჯახი,—წრევანდელი მოსავალი იმიტომ დამაგირავებინე, რომ ე რაღაცა გოგრები დამენახა და ტიტველა გოგოებისათვის მეყურებინა?!.. ამ სიტყვებით ესაუბრებოდა ვიღაც კახელი თავადიშვილი თავისს ჩიქილოსანს მემცხედრეს, თან მკლავში ჩაჰბღაუჭებოდა და საითკენღაც მიეზიდებოდა, თითქოს უნდა გამოფენის ჰარამხანას გააშოროსო.

— კაცო, ადამიანო, სად მიმათრევ, აღარ მეტყვი ახლა?!.

— სადაო?! ვეჟო, აქ ხომ არ გაათენებ?!. წამო, შვილოსან, დავუბრუნდეთ ჩვენს ჩანაცრებულს კერას, თორემ შენ აქ საფარსაგოს ვერას ისწავლი. არა, რო აიხირე, ქვეყანა იქ იქნება, ეხლავე უნდა წავიდეთ, რომ თვალი და ყური გავახილოთო, აბა რა გაახილე, მიამბე ერთი, ი სულით ცხონებული მამაშენი გოჯასპირი ნუ წაგიწყდება?! ბეჩა, მანდ ვაჟკაცსაც არ შეესვლება, არა თუ დედაკაცს... გამოფენაო!.. ასი წელიწადიო!.. ვინ მიჰქარავდა ი გაზეთში. აი, დალახვრა ღმერთმა, ეგ მატრაბაზი ქალაქელები რას არ მოიგონებენ!.. დაუგროვებიათ ურიცხვი დედაკაცები და გამოფენა არისო!.. ისე იპლაკვავენ ი ფეხებსა, რომ ადამიანს თავიდგან ქუდს მოხდიან და ცხვირიდგან სათვალეს წაძრობენ. კაი გამოფენაა!.. დაურცხვებულან, ნამუსი და პირის-წყალი ჩამოჰრეცხიათ და ლორ-ხბოსავით არეულან... ამისათვის აქ რომ არ წამოგეყვანე და ამოდენა გზა არ დაგექსელინებინა, ე კაბას შემოიჭრიდი კანჭებამდე, გავარდებოდი თავ-მოშვლეპილი ი ჩვენებიანთ კალოზედ და ჩამოუვლიდი, ისევ ეს გამოფენა არ იქნებოდა?!.

◆◆

ასე ჰლაპარაკობდნენ გამოფენის დამთვალიერებელნი და მე-კი აჩრდილსავით იქაურობას ვერა ვშორდებოდი. თვალ-წინ წარმომიდგა ჩვენი ბეჩავი გლეხი, რომელსაც ამ გამოფენაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია და გამოსაფენი არც არა გააჩნია-რა. გამოფენა თავისთვის არის და ის თავისთვის, მათ შორის საერთო არა მოიპოვება-რა. ან რა უნდა იყოს საერთო, როდესაც ამ ას წელს საბრალოს არც იერი უცვლია და არც ფერი, ისევ ის წყალ-წაღებული, ისევ ის ყველას სათლელი და თავში წამოსა რავი, განუვითარებელი ტეტიაა, რაც ამ ასის წლის წინად იყო. საშინელებაა, სწორედ,—ასის წლის გროგალმა ისე გადაიარა იმისს თავზედ, რომ ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამ იმ კულტურისაკენ, რომლის სადღესასწაულოდ დღეს რიღასიც გამოფენასაც-კი ვლამით, გამოფენას, სად უმთავრესი ადგილი კანკანსა აქვს დათმობილი და ჩვენი გლეხი-კი არსადა სჩანს თავისი ჭირ-ლხინითა და ავ-კარგით, თითქოს არც-კი გაჩენილიყოს ამ ქვეყნად საწვალებლადა და საწამებლ დაო...

ჩიორა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობას, ხოლო შემდეგ—ქალაქის ბჭოს.

** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მოგზაუ- ს“ მე-8—9 ნომერი. შინაარსი: 1, დარია- ს ხეობა, 2 ჯავახეთი, 3, ისტორიული გეოგრაფ. აღწერა ჰერეთისა, ჯანაშვი- ისა, 4, გურია, გვარამაძისა, 5, წმ. ღვაწე ნინო, ვინმე მესხისა, 6, დავით მაშენებელი, ლასურიძისა, 7, რუსუდან, რამა, 8, იანიჩარი, დრამა ნახუცრიშვი- ისა, 9, ანტონ 1 კათალიკოსი, თარგმ. თაძისა, 10, ცხრა ჯვარი, სოფლის კა- ისა, 11, აღდგომა სოფელში, მერკვილა- ისა, 12, აპოკრიფი: განჩინება პონტოე- ის პილატისა, ალ. ხახანაშვილისა, 13, ით ეძახიან დუდაროვებს მეტ გვარად ლონოვს“, ქართველი ოსებში, 14, სო- ელი იანეთი, იანეთელისა, 15, სოლომონ ონიძე, ი. მარუშიძისა, 16, კ. ი. ზუ- ლაშვილი და მისი გვარის ისტორია, ზ. —სა, 17, სახალხო სიტყვიერება, 18, ბლიოგრაფია და 19, დამატება: სახალხო ტორია საქართველოსი.

** ნიკიტის მეღვინეობის სკოლაში სწავლა ასრულებულმა სტანისლავ შჩუკომ სთხო- ა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო- ამეურნეო საზოგადოების საბჭოს ჩარიც- ონ იგი კანდიდატად ტფილისის საბაღო- ნო სკოლის მართველის თანამდებობაზედ.

დამაკვირდი.

დიდის ღირსების კაცთა ადვილად რ შეენდობათ ხოლმე პატარა შეც- ომაც-კი.

ეშენბახი

* * *

შეცდომანი დიდ-ბუნებოვანთა კაცთა უფრო მეტს ჰკუას გვასწავლიან, ვიდრე ჭეშმარიტებანი წვრილმანებისა.

ბერნე

* * *

მძიმედ მიცოცავს მცონარეობა, ამიტომაც ადვილად დაეწევა ხოლმე გაჭირვება და სიღარიბე.

ბუასტი

ცხოვრების გამოძახილი

XI

ქალაქსაც ჰმართებს სოფლისა რჩენა.

ერთი პატივცემული ქართველი ამას წინეთ შემხვდა და, სხვათა შორის, ჩვენს გლეხობაზე ჩამომიგდო სიტყვა. ვერ წარმოიდგენთო, მითხრა, იმ სილატაკეს, რაც პატარძეულის სოფელში ვნახე, მაშინ როცა ქალაქი ახლო აქვს და მის ლატაკ გლეხობას შეეძლო სამუშევარი ეშოვა.

დიახ, ქალაქი არა თუ პატარძეულს, ბევრ სხვა მისთანა სოფელსაც არ ჰშორავს, მაგრამ ჩვენებური ლატაკი როგორღაც ერიდება აქ ჩამოსვლას ლუკმა-პურის საშოვრად, მაშინ როცა გადამთიელები შორეულ ქვეყნებიდგანაც კი ეტანებიან: ზოგი ნაგავს ეზიდება, ზოგს წყალი დააქვს, ზოგი ფარდაგ-ხალიჩებს რეცხს, ზოგიც ბურბუშელას ჰყიდის. ვინც უფრო გამრჯე და მოხერხებულია, ის კიდე ან მეკურტნე, ან მედროგეა. უფრო გამრჯე კიდე მეეტლეა.

ქართველი მუშები პირველის ჯურის დაბალ ხელობას სრულებით არ მისდევენ, უკანასკნელ ხელობაზე კი ისე ნაკლებ არიან, რომ სათვალავში არც-კი ჩაიგდებიან. აქამომდე ბადალი არ ჰყავდათ მეკურტნეობაში, მაგრამ გადამთიელები იმასაც შეეცილნენ და ჰლამის სულ განაძეონ ასპარეზიდან.

რა მიზეზია? ქართველები დაბალ საქმეს თაკილობენ, თუ შრომა სძულთ? საქართველოში ადგილი არ არის ისეთი, რომ ვარგოდეს და გლეხი არ ამუშავებდეს, თუ სხვა რამ მისგან დამოუკიდებელი გარემოება ხელს არ უცარავს. მაშასადამე შრომის სიძულვილს ვერ დავწამებთ. ვერც იმას ვიტყვით, ვითომც შრომას თაკილობდეს, რადგანაც მაგალითი ბევრი გვაქვს, რომ ქართველი კეთილშობილი, თავადიც-კი, სხვის მოსამსახურეობაში ლევდეს დღეებსა.

ქალაქთა ცხოვრებას ელფერს აძლევს თვისტომთავე ვაჭრობა და ის სხვა-და სხვა დაბალი ხელობა, ზემოთ რო მოგახსენეთ. ჩვენს დედა-ქალაქს კი ბედმა უღალატა: ხელში ჩაუგდო მისი ვაჭრობა სომხებსა, ხოლო გამგეობა მათ დიდ-ვაჭრებსა. ამის გამო ქალაქში მუშა ხალხი მათივე ერთმორჯულე გაჩნდა და ჩვენებური მუშაკი გარემოებით იძულებული ჩამოდგა. რაც-კი ამ ჟამად კეთდება ქალაქში, ყოველ საქმეზე მოსული უცხო მუშა დგას, ხოლო ჩვენებური კაცი მარტო ქალაქის ბაღებსა და ბაღჩებს უვლის, ალბად იმიტომ, რომ მათი საბადლო ჯერ ვერ უშოვიათ.

ნათქვამია, სოფელი ქალაქს არჩენსო; მაგრამ ქალაქმა-კი რად არ უნდა არჩინოს სოფელი? ნუ თუ, როგორც ამას წინად „ივერიაში“ ჰსწერდა ბატონი პლებსი, მარტო ზნეობის გახრწნა უნდა ასწავლოს და არყით გახეთქილი მისი შვილები დედიშობილა უნდა ლიტანიობდენ ორღობეებს შუა? ასეთი საზრდო და ასეთი გაქალაქება ღმერთმა აშოროს სოფელსა! ქალაქი ხელს უნდა უმართავდეს ლუკმა-პურის შოვნაში გალატაკებულ სოფელსა, რომელიც უილაჯო გამხდარა, კვლავინდებურად არჩინოს იგი. აი ეს მოეთხოვება და მადლად ეს ჩაეთვლება. ეს კი არა, ქალაქში დღეს დაბალი საქმეც კი გადამთიელის ხელშია.

ამ გარემოებას ჩვენ გულგრილად შევყურებთ, თითქოს შეურაცხი იყოს. სომხური ენა თუ გახშირებით ისმის დღეს ქალაქში, მრთლად აზგასერთა მოღვაწეობის ნაყოფი როდია. ამის ბრალია სწორედ ის გადამთიელი მენაგვე, მერწყული და სხვა დაბალი მოხელე, რომლითაც სავსეა ახლა ქალაქი.

ჩვენ ვალდებულნი ვართ, ჩვენებური საწყალი სოფლელი, რომელსაც სილატაკისაგან სული ამოსდის და მეოჯახობის თავი აღარა აქვს, ქალაქისკენ გამოვისტუმროთ სამუშევარზე და თუ თავისით ვერაფერს გახდა, მფარველობა გავუწიოთ და საჭიროების დროს, შუამდგომლობაც, რომ ლუკმა-პური ოფლით მოიპოვოს.

ეს სამართლიანი საქმე არ უნდა დაივიწყონ არც ჩვენმა მოქალაქეებმა ქალაქის საბჭოს არჩევანის დროს და უნდა დაავალონ თავიანთ წარმომადგენელ-ხმოსნებს მისი ასრულება, შესანანებლად და გამოსასყიდად იმ მრავალის ცოდვისა, რომელიც უწინდელმა საბჭოებმა თავიანთის მიმკერძველობით ჩაიდინეს.

კლდია

წერილი ზესტაფონიდგან

კარგა ხანია ზესტაფონის შესახებ აღარა გვითქვამს რა. ბევრმა მისაყვედურა: „ქვა რად მოგვაგდე, რას გაჩუმებულ ხარო?“ ზოგსაც სიხარულით პირში ნერწყვი უშრება: „აქაო და ახირებული კაცია, ენაკვიმატია, მოსვენებას არ გვაძლევს; მგონი გვეშველა და კალამს წვერი მოუტყდაო.“ მაგრამ ჩემი რა ბრალია, ბატონებო, რომ პროვინციის ცხოვრება უკუღმართ ვარსკვლავზედ გაჩენილა, წაღმას მაგიერ უკუღმა ბრუნავს და მისს დაბენძილ ბორანის ორთაყვირს ხან-და-ხან მარჯვედ მოქნევა ესაჭიროება, რომ გზა არ გაუმრუდდეს და კლდეს არ დაეჯახოს. აბა ჩვენს ზესტაფონს მივხედოთ, თვალი მიმოვავლოთ და ძველებური ცოცხი გაუსვათ ნაგავს; იქნება მტვერში გასაქექი რამე ვიპოვოთ. ბედია თუ უბედობა,— ამ ჟამად სადარდელ და თავს სატეხ საგნად სახალხო განათლების საქმე შეგვექნა. არ იქმნა და არა... ამ მხრივ ზესტაფონს ბედი არ შესწევს. ავიხედავთ აღმა, დავიხედავთ ძირს, შეგვრჩა ისევ ორ-კლასიანი სასწავლებელი, სადაც წელს 13 თავისუფალ ადგილზედ 74 თხოვნა იყო შემოსული. მხოლოდ მას შეუძლიან იგრძნოს ამ ბავშვების საცოდავობა, ვისაც ბედმა ნებით თუ უნებლიედ ამათი „კონკურსით“ გამოცდა და ამდენ მთხოვნელებში 13 კაცის არჩევა არგუნა!

რის ვაი-ვაგლახით 13-ის მაგიერ მიღებულ იქმნა 28 ბავშვი, როგორც წინა წლებში ხდებოდა.

— დანარჩენნი? დაიხურა მათთვის სასწავლებლის კარები და იქნება სამუდამოდაც! მაგრამ რა ვქნათ, რა ვიღონოთ? ხონი, კულაში, ლანჩხუთი თვალ-წინ გვიდგანან: რამდენადაც ამათი საქციელი გვახარებს, იმდენად ზესტაფონელთა უმოქმედობა გვაღონებს. ასე მიტოვებული მხარე სხვა აღარ მეგულება. არა ჰყავს ამ საქმეში არც მეთაური ინტელიგენტი, არც ადმინისტრაციის მოხელე, არც თვით ხალხია ამ საქმეში გაბედული და რჩევა-დარიგების მიმყოლი. ზესტაფონელი დარწმუნებულია, რომ მას ცხრა სიტყვაში ათს ტყუილს ეუბნებიან და ვერაგზით ვერ დააჯერებ, რომ ცხრა ცხრა არის და ყველა რომ ტყუილი იყოს ათი მაინც არ გამოვა. საკვირველია, საიდგან წარმოსდგა ხალხის ამნაირი შეხედულება!.. ქუთაისისა, ხონისა და გორის დაბალი და საშუალო სასწავლებლები შორაპნის მაზრის მოსწავლე ყმაწვილებით სავსეა, ერთი-სამად მეტს ხარჯს ვეწევით, სხვაგან მივრბივართ და ცხვირ-წინ სასწავლებლის დაარსებისათვის-კი თავს არ ვიტკივებთ. პირველ დაწყებითი სკოლა ზესტაფონში უკვე ოთხია, მაგრამ პროგიმნაზიას, საქალაქო სასწავლებელს ან სხვა რამეს ზესტაფონი, ვგონებ, არც როდის ეღირსება, თუ ამაზე მეტი მზრუნველობა და გულ-შემატკივრობა არ გამოიჩინეს. ერთხელ კიდევ მივმართავთ ჩვენის ბაზრობის პარტიების მოთავეებს ღ ვთხოვთ: უკუ ვაგდოთ პირადი უკმაყოფილება, ქინი ღ შური ღ ერთმანეთს სასწავლებლის დასაარსებად ხელი მივცეთ, თორემ ამდენი ბავშვების ყოველ-წლივ სასწავლებლის გარედ დატოვება კარგი ნიშანი არ არის, ცუდი შედეგი მოჰყვება. სასწავლებელი მეცნიერების ტაძარია და ვისაც იმას დაარსების საქმეში ბაზრობის ინტერესები შეაქვს, ისინი გადაშენების გზაზედ აყენებენ თავიანთს შვილებს. ღმერთმა ინებოს, წლევანდელს მაგალითს მაინც გამოეფხიზლებინოს ზესტაფონის მცხოვრებნი!..

სამწუხაროდ არც პატარა ქალებსა აქვთ შესაფერი და დამტევი თავშესაფარი ამ მხრივ. ორი სიტყვა იმათ შესახებაც. შარშან აქ დედათა ორკლასიანი სასწავლებელი დაგვიარსა ეპარქიალურ საბჭოს განყოფილებამ, რომელი გარემოებაც „ივერიაში“ კიდევაც აღვნიშნეთ და თან მივაყოლეთ ჩვენი შენიშვნები, რომ ჯერ საშუალება უნდა სკოლასა ღ მერმე დაარსებაო. ბ. გ. ბოკერიამ ამის გამო „კვალში“ გვიპასუხა: ხალხი ტაშის კვრითა და ვაშას ძახილით მიეგება ამ ამბავსა“ და ახლავე შენობის აგებას დაგვპირდაო. მეგონა ხუმრობდა გ. ბოკერია, მაგრამ მაინც გავჩუმდი, მოცდა ვამჯობინე. მას შემდეგ ვუყურებ, აგერ მეორე წელიწადიც დაიწყო და საქალებო სკოლა ხან ერთს ნაქირავებს ოთახს აფარებს თავსა და ხან მეორეს, მაგრამ ბ-ნის ბოკერიას მიერ „ტაშითა“ და „ვაშათი“ დაპირებული საკუთარი შენობა-კი არსად არის. ეს ალბად თითონ მისს ოცნებას შეუქმნია ჩვენი წერილის საპასუხოდ ან გამოხუმრობის სადღერღელი აჰშლია! ღმერთმა შეუნდოს!.. სამაგიეროდ ამ საქმის ერთმა მოთავეთაგანმა ავგისტოს დამლევს აი, რა „საგმირო საქმე“ ჩაიდინა: რაკი სკოლისათვის შენობის შოვნა გასჭირდა, ადგა და ბ. სანიკიძეს მიჰმართა: „გააგდე შენი სახლიდგან გაჩეჩილაძის კერძო სასწავლებელი და იმის თვიური 12 მანეთის მაგიერ ჩვენ 20 მანეთს მოგცემთო.“ ერთი ალიაქოთი შეუდგა გუნებაში მადა-გაღვიძებულს სახლის პატრონს... მიბრძანეთ ერთი, რამდენად მოხერხდება, ხვალ-ზეგ სწავლა გეწყობოდეს და გითხრან: აიბარგეო! დაუჯერებელია, ბატონო ჩემო, მაგრამ მართალი-კი გახლავთ. ღმერთმა ჰქმნას ტყუილი გამომდგარიყოს, თორემ ვერაფერი საკადრისი საქციელია, თუ თქვენც დამეთანხმებით, ბატონებო! „ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო,“ ტყულად არ უთქვამთ... ასე გამოდის.

თეატრმაც თავი დაგვიკრა საიქიოდგან, როგორც მოგეხსენებათ. მას შემდეგ მიხეილ გაჩეჩილაძე ერთთავად პროექტებს ადგენს, ერთი „ცნ. ფურცელშიაც“ დაბეჭდა ამ ზაფხულს: „თითო თუმანი შევიტანოთ და თეატრი გავაკეთოთო,“ მაგრამ ეს მოწოდება ჯერ არავის გულს არ მოჰხვედრია. ალბად იმიტომ, რომ თეატრის საქმეში კარგად გაგვწურთვნეს ამ სამიოდე ვაჟ-ბატონმა და ძველებურად აღარავინ გვენდობა, თუმცა ჩვენთვის ეს სამწუხარო უნდა იყოს და გამგლეჯელებისათვის?.. მკითხველო, თქვენა ბრძანებით.

ვ. სეფისპირელი

უცხოეთი

სამხრეთი აფრიკა. ბურების ძლიერი რაზმი ლუი ბოტას სარდლობით დეაგორსდრიფტიდამ კხანდპიბერგში მისულა და იქ დაბანაკებულა 8 სექტემბერს.

— კიტჩენერმა გენერალს ფრენჩს დაავალა კაპის ახალშენიდამ ბურების გამოძევება და დიდი ჯარიც გაუგზავნა ამ ბრძანების ასასრულებლად. ამისდა მიუხედავად ბურები თან და თან უფრო მეტს ადგილებს იჭერენ აქ. როგორცა სჩანს, ბურებს აზრათა აქვთ კაპის ახალშენი სულ ერთიანად დაიჭირონ ხელში, ააღელვონ აფრიკანდერები და აქ მოაგროვონ თავისი ჯარები. ბურების სარდლები ყოველის მხრიდან კაპის ახალშენისკენ მიეშურებიან. უეჭველია, რომ ომის ასპარეზად სწორედ ეს ადგილი გახდება.

— ტელეგრამის ცნობები ბურების დამარცხების შესახებ ამასთანავე იუწყებიან, ინგლისელებს დიდი ზარალი მოუვიდათ, შესაძლოა, რომ ეს დამარცხება-კი არა, უბრალო ტაქტიკა იყოს ბურების მხრივ.

— ჰოლლანდიის გენერალურ შტატების ერთ-ერთს უკანასკნელს სხდომაზე პალატის დეპუტატებს უკმაყოფილება განუცხადებიათ, რატომ სეფე სიტყვაში ბურების შესახებ არაფერი არ იყო ნათქვამიო. ჰოლლანდიის პირველს მინისტრს დეპუტატები დაუმშვიდებია და უთქვამს, რომ საქმის ვითარება შეუძლებლად ჰხდიდა ამის თაობაზე რაიმე ყოფილიყო ნათქვამი, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ჰოლლანდია მალე ჩაერევა ბურების საქმეში.

ინგლისი. გაზეთი „Daily Mail“ სწერს, ინგლისის სამხედრო ბიუჯეტს დანახარჯმა 375 მილიონით გადააჭარბაო. ეს გარემოება დაკავშირებულია პარლამენტის მიწვევის გადადებასთან. თუმცა იანვრამდე ომის გათავების და ბურების დამორჩილების იმედი აღარა აქვთ, მაგრამ მაინც სცდილობენ გადამეტებული ხარჯებისგამო უკმაყოფილო პარლამენტის გულის მოსაგებად რამე სასიამოვნო და საკეთილო მოახდინონ და მხოლოდ შემდეგ მოიწოდონ პარლამენტი.

— ინგლისის ოფიცრები — რემონტიორები ლისაბონში მისულან ცხენების და ჯორების საშოვნელად და სამხრეთ-აფრიკაში გასაგზავნად. აქამდე ცხენები და ჯორები ინგლისს ჩრდილოეთ ამერიკიდამ გამოჰყავნდა, ეხლა-კი, როგორც ამბობენ, პრეზიდენტს რუზველტს განუძრახავს სრულებით აკრძალოს ამ საქონლის წასხმა შეერთებულის შტატებიდამ.

ოსმალეთი. ოსმალეთმა, როგორც წინად გვქონდა ნათქვამი, რუსეთს მიჰმართა და სთხოვა საფრანგეთთან შუამდგომლობა იმ კონფლიქტის მოსაწესრიგებლად, რომელიც ლორანდოს საქმემ გამოიწვია. ეხლა იუწყებიან, რომ რუსეთს უარი განუცხადებია, და ამის გამო ოსმალეთი დიდს ფინანსიურს გაჭირებაში ჩავარდება. რუსეთს და საფრანგეთს „Birmingam

Post“-ის სიტყვით, ხელ-შეკრულება დაუდვიათ ოსმალეთის ფინანსების კონტროლის შესახებ.

— გამოძიებას აღმოუჩენია, რომ შარშან ილდიზ-კიოსკში გაჩენილის ცეცხლის ბრალი ერთს ფარულს საზოგადოებას უნდა დაედოს, რომელიც 750 კაცისაგან შესდგება. სხვათა შორის ამ საზოგადოების წევრად ყოფილან უმაღლესი სამხედრო სასამართლოს წევრი ჯევადფაშა და სულთანის ამალის გენერალი იაკუბ-ფაშა. ეს 750 კაცი ამას წინად, ღამიანად, ჩასხეს გემში და სადღაც გაისტუმრეს.

საფრანგეთი. გაზეთების სიტყვით, ლუბე აპრილში რუსეთს ესტუმრება. ლუბეს თან მოჰყვებიან ვალდეკ-რუსსო, დელ-კასსე და ბრიუქერი.

— ორშაბათს, 10 სექტემბერს, მინისტრებს ლუბეს თავმჯდომარეობით მსჯელობა ჰქონდათ შემოდგომის სესსიის დაწყების შესახებ. შემოდგომის სესსია მუდამ პრეზიდენტის განსაკუთრებულის დეკრეტით იწყება. მინისტრებს ჰსურთ, რომ პალატების სხდომები 9 ოქტომბერს დაიწყოს, მაგრამ ჯერ-ჯერობით დროს დანიშვნა მაინც ვერ მოხერხდა, რადგანაც ეს დამოკიდებულია საბიუდჯეტო კომისიისაგან მუშაობის გათავებაზე. მინისტრებს განძრახვა აქვთ შემოდგომაზედაც დღეში ორ-ორი სხდომა მოახდინონ, დღით და საღამოობით. პარლამენტს წარუდგენენ განსახილველად მოხუც მუშათა პენსიების და სავაჭრო ფლოტის კანონ-პროექტს.

— საფრანგეთის მთავრობას დღემდე 227-მდე თხოვნა მიუღია კონგრეგაციებისაგან მათს დაკანონების შესახებ. ეს თხოვნები განხილულ იქმნებიან პარლამენტის სხდომებზე. მთავრობამ ყოველის კონგრეგაციის შესახებ თავის დასაბუთებული აზრი უნდა წარუდგინოს.

ავსტრო-უნგრეთი. ახალგაზრდა ჩეხთა პარტიის მოთავეს, გეროლდს, ვოდლკში მომხდარს ყრილობაზე უკმაყოფილება გამოუთქვამს ჩეხიის ფეოდალების შეთანხმების გამო გერმანელებთან და გაუცხადებია, რომ ჩეხების ყველა პარტიები შეთანხმდებიან არჩევნების საქმეში ჩეხიის სახელმწიფო უფლებათა აღსადგენადო.

იტალია. იტალიელი დიპლომატი, მარკიზ დი-რუტინი სწერს გერმანიულს გაზეთ „Deutsche Revue“-ში, იტალია მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება თანახმა სამთავშირის მონაწილეთ დარჩეს, თუ იმას ეკონომიურს სარგებლობას მისცემენო.

— რომის პოლიციას აღმოუჩენია ერთი ფარული საზოგადოება, რომელიც სხვა-და-სხვა ევროპის ქალაქებში ცეცხლის წაკიდების აზრით დაარსებულა. ამ საზოგადოების უმთავრესი კომიტეტი რომში ყოფილა.

სასამართლოს მატიანე.

პროცესი „კონტრაბანდისტების“ გამო.

საბრალმდებლო ოქმი.

როგორც ბოქაული შენგელაია მოწმობს, მის თვალ-წინ სტ. ლორთქიფანიძემ მუშტი ჩაარტყა სალდათს, ანუ დარაჯს. კადეიშვილის მოწმობით, სტ. ლორთქიფანიძემ სალდათს-კი არა, ურიადნიკს პოდპრუჟნიკოვს ჩაარტყაო. პოდპრუჟნიკოვმა აჩვენა: როცა სტუდენტს მივუახლოვდი, იმის ხელი სალდათს ჰქონდა გაკავებული, სახეზე არ დავკვირვებივარ და ვერ გამოვიცნობ, მახსოვს, რომ ძლიერ ღონივრად გულში მუშტი ჩამარტყა. ამასვე ჰმოწმობს კაპიტანი შულცი და უმატებს: დარაჯის ენერგიულად მუშტის ჩამრტყმევი ის სტუდენტი იყო, რომელმაც პარტერში მჯდომს საზოგადოებას მიმართაო, ე. ი. თ. ლორთქიფანიძე. პოლიციელმა ნიკანორ სტეფანენკომ და დარაჯმა კონსტანტინე ჭუბაბრიამ აჩვენეს, რომ სტუდენტს ნიკოლოოზ ლორთქიფანიძეს უნდოდა განთავისუფლებულიყო გამომყვანელ დარაჯთა ხელიდგან და იძახოდა: სახელზე ხელი გამიშვით, ჩემით წამოვალო.“ ამ დროს ისე ღონივრად ჩაარტყა ერთს ჩვენგანს, ჭუბაბრის, რომ იგი კედელს მიაწვა, რომ არ წაქცეულიყო.

პოლიციელის ნიჟარაძის და ჟანდარმის უნტერ აფიცერის კალაშნიკოვის მოწმობით, ლორთქიფანიძემ, როცა დარაჯთა ხელიდგან იწეოდა, გაშლილი მუშტი ჩაარტყა სახეში პოლიციელს ლეპერტს. ეგევე აჩვენა პოლიციელმა ლეპერტმა, მაგრამ ამასთანავე განმარტა, რომ ეგ მუშტი უცაბედი და არა განზრახული იყოო. ეს განმარტება სანდო არ არის, რადგანაც უცაბედი მუშტი გაშლილი არ შეიძლება.

პოლიციის ბოქაულის შენგელაიასი და ჟანდარმის ვახმისტრის მოწმობით: როცა დარაჯები და სალდათები სტ. კირილე ნინიძესთან მივიდნენ, მან ჯოხით მოგერება დაიწყო და ამ დროს ზოგიერთ მათგანს ჯოხი მოახვედრაო. ჟანდარმის უნტერ-აფიცერმა ნოსკოვმა აჩვენა: შევხედეო, რომ სტ. ნინიძემ ორჯერ დაჰკრა ჯოხი ერთ მიმსვლელთაგანსაო. პოლიციის დარაჯთა ურიადნიკმა—შევნიშნეო, რომ სტ. ნინიძე ჯოხს უქნევდა იმათ, ვისაც სტუდენტები გამოჰყავნდათო, მაგრამ ამ დროს ჯოხი სალდათებმა გამოგლიჯეს ხელიდგანო.

კურინსკის რაზმის სალდათმა სარქის აკოფოვმა აჩვენა: მე ქვეითა კარების შესავალთან ვიდექი და შევნიშნე, რომ ერთი კაცი, რომელიც სტ. კირილე ნინიძესა ჰგავდა, მიიწეოდა თეატრში შესასვლელად, მაგრამ სალდათი არ უშვებდა, მაშინ ამ კაცმა სალდათს ჯოხი დაჰკრა, და ეგ ჯოხი მე ხელიდგან გამოვგლიჯე და წარუდგინე რაზმის უმფროსს (ротный командиръ), ამისგან, როგორც პოლიციის ბოქაული ტერ-აკოფოვი მოწმობს, თვით მას, ტერ-აკოფოვს, ეგ ჯოხი ჩაუბარებია და საქმეებთან ერთად წარუდგენია.

დარაჯი კონსტანტინე ჭუბაბრია მოწმობს: როცა სტუდენტი ლორთქიფანიძე გამომყავდა თეატრიდგან, და მასთან ერთად კიბის ზედა საფეხურზე ვიდექი, ვიღაცამ ზურგზე ჯოხი მომარტყა, მოვბრუნდი და უკან სტუდენტი ნინიძე დავინახე, ხელში ჯოხი ეჭირა. იმ წამსვე მას ჯოხი სალდათმა ხელიდგან გამოჰგლიჯა.

როცა ქალაქის პოლიციელებს და სალდათებს პოლიცმეისტერის ლისოვსკის ბრძანების აღსასრულებლად თეატრიდან სტუდენტები გამოჰყავდათ და ამისთვის საჭირო შეიქმნა ძალდატანება, რის გამოც თეატრის ბალკონზე შეიქმნა საშინელი ყვირილი, ხმაურობა და ღრიალი, ამ დროს ჩამოირბინა ბალკონიდგან სტუდენტმა ალექსანდრე კანდელაკმა, მიირბინა კიბესთან მდგომარე პოლიცმეისტრის თანაშემწე ტატიაჩენკოსთან ამ სიტყვებით: „პოლიცმეისტრის თანაშემწევ, ბალკონზე სტუდენტებსა სცემენ,“ მერმე ორჯერ ჩაარტყა მუშტი გულ-ბაყუში და სადღაც მოგროვილ ხალხში გაძვრა. ამას უყურებდნენ: ნიკოლოოზ გიორგაძე, სოფრონ გაბუნია, ნიკოლოოზ ივანოვი და ნიკიფორ სტეპანენკო.

როცა ყველა სტუდენტები გაძევებულ იქმნენ თეატრიდგან, წესი და სიჩუმე დამყარდა და წარმოდგენაც დასრულდა.

(გაგრძელება იქნება).

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

21 სექტემბერი.

ტამბოვი. სახელმწიფო საჯინიბოს უავგუსტოესმა მთავარ-მმართველმა, დიდმა მთავარმა დიმიტრი კონსტანტინეს ძემ 19-ს სექტემბერს ტამბოვი ინახულა. მისმა უმაღლესობამ გაშინჯა, დაათვალიერა სახელმწიფო საჯინიბე და საფოსტო მატარებელით გაემგზავრა კოზლოვში.

ლოძი. ოქტომბრის პირველს რიცხვებში აქ საერო განათლების მინისტრს მოელიან.

პენზა. 21 სექტემბერს, დილით, მოვიდა სახელმწიფოს სასმელებით ვაჭრობის მთავარ სამმართველოს უფროსი, მარკოვი, ხელქვეით დაწესებულებათა სარევიზიოთ.

ტიუმენი. უკანასკნელად გემები ტომსკში 15-ს სექტემბერს გაემგზავრნენ.—გუშინ ტობოლსკში პირველად მოვიდნენ ობის შესართავიდგან თევზით დატვირთული გემები.

კალუგა. ისევ თბილი ამინდია. მინდორსა და ბოსტნებში მუშაობას ათავებენ. ახალ თესლების მოსავალი ჩვეულებრივზე მცირეა; ანეულის მოსავლებს კარგი პირი უჩანთ; საქონლისთვის საძოვარი ბალახი კარგია.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის სარწმუნო წყაროდამ სრულებით უარჰყოფენ იმ მითქმა-მოთქმის სიმართლეს, ვითომც ოსმალეთის მთავრობას განეძრახოს კავეტის დაჭერა, და ამასთანავე დასძენენ, რომ ეს ოსმალეთის ინტერესებს არ ეთანხმება და ინგლისიც დიდ წინააღმდეგობას გაუწევდა ამ საქმეში ოსმალეთსო. ოსმალეთის მთავრობას მხოლოდ ის ჰსურს, რომ ხელი შეუშალოს კავეტზე არაბეთში სამხედრო იარაღის შეტანას, თანახმად იმ ხელ-შეკრულებისა ინგლისთან, რომელიც დაიდო წინანდელის ინციდენტის გამო კავეტში. გუბერნატორის ბასრი ალიშუხსინა-ფაშის გადაყენების მიზეზი მისი უწესრიგო გამგეობაა.

20 სექტემბერი.

შესწორება. გუშინდელი ტელეგრამა, როსტოვიდამ ასე უნდა შესწორდეს: როსტოვი: აქ მოსულის ცნობებით, კავკავის გზის სადგურის გადაკეთება გადაწყვეტილია.

22 სექტემბერი.

პეტერბურგი. პრუსიის პრინც ჰენრიხი და პრინცესსა ირენა მოვიდნენ სპალუში მათს უდიდებულესობის სანახავად.

ტაშკენტი. პირველი ხარისხის ბამბა კარგად არის შენახული; მოსავალი საკმაოთ კარგი იქნება.

ლოძი. ფინანსთა სამინისტროს სავაჭრო ნაწილის ინსპექტორი ადგილობრივის შლიაპების და ღილების ქარხნების დასათვალიერებლად მოვიდა. ინსპექტორს განზრახვა აქვს შეჰკრიბოს საჭირო ცნობები იმ საკითხის გარდასაწყვეტად, რომელსაც კავშირი აქვს გერმანიის ვაჭრობის ტრაქტატთან.

ტიუმენი. ეკატერინბურგში თავი ხორბალი 1 მან. 20 კაპ. იყიდება კული; ჩვეულებრივი ხორბალი 1 მან. 05 კაპ. ფუთი, შვრია 84 კაპეიკად.

გროზნა. ინგლის-რუსეთის მაქსიმოვსკის ნავთის მწარმოებელთა ადგილში ამოხეთქა, ნავთის წყარომ, რომელიც 500,000 ფუთ ნავთს იძლევა.

ლონდონი. გაზეთებმა გაავრცელეს ხმა, ვითომ მეფე ბალმორალში შეუძლოდ გამხდარიყოს რევმატიზმისაგან. თუმცა ავადმყოფობა საშიშარი არ არის, მაგრამ მაინც ხელი შეუშალა ნადირობაში და მეფე ამ ჟამად მხოლოდ სეირნობს ხოლმე ეტლით. მეფის უფროსი ექიმი პალმორალშია.

ლონდონი. ბალმორალიდან იტყობინებიან,—მეფე უკანასკნელ დღეებში სანადიროდ არ გასულა და მხოლოდ გუშინ და დღეს გაისეირნა ეტლითაო. მეფე წელს იტკივებს. ავადმყოფობა საშიში არ არის.

ლონდონი. ბალმორალიდან ამბავი მოვიდა, მეფე-დედოფალი შუადღის უკან სასეირნოდ წაბრძანდნენო. მეფე მალე სრულიად კარგად შეიქმნება.

ლონდონი. როგორც უკანასკნელ სიიდანა სჩანს, კევევიჩის, რაზმსა დელარეისთან უკანასკნელის ბრძოლის დროს მოუკლეს 45 კაცი და დაუჭრეს 114, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ, ვინც ბრძოლაში მსუბუქი ჭრილობა მიიღო.

სმუტს, რომელიც ჯარსაც შეუერთდა კრადოკიდან მოსულ ბოტას მცირე რაზმი, მიეშურება სამხრეთისაკენ და, უეჭველია, განზრახვა აქვს შეპერხონს შეუერთდეს. კალვინის რაზმი სამხრეთისკენ იწევს.

ბრიუსელი. გააგიდან იტყობინებიან, რომ კრიუგერს აზრათაც არ მოჰსვლია რუზველტთან დეპუტაცია გაეგზავნა და შუამდგომლობა ეთხოვნა; პირ-იქით რუზველტს ოფიციალური პროტესტი შეუთვალა ცხენების და ჯორების გამოზიდვის შესახებ.

ნიუ-იორკი. „კოლუმბია“-მ მესამე გაჯიბრებაშიც გაიმარჯვა და საჩუქარი მიიღო.

თუმცა „შამროკი“ დანიშნულ ადგილზე „კოლუმბია“-ზე ადრე მოვიდა სამი წუთით, მაგრამ მაინც ეს ყურადღებაში არ იქმნა მიღებული, რადგანაც წასვლის დროს „შამროკი“ „კოლუმბაზე“ ადრე დაიძრა ადგილიდან.

განცხადებანი

ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1901 წლის 20 ნოემბერს, შუადღის 12 საათზედ გამგეობისავე თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა** ქალია ღამბაროვის მამულის გასასყიდად; სახელდობრ უნდა გაიყიდოს: 1, ხის მაღაზია (გადაიტანოს), რომელიც ქალაქისაგან იჯარით აღებულ მიწაზეა, მდებარეობს რიონის მარჯვენა ნაპირზედ, შეიცავს შვიდ განყოფილებას, თუნუქით გადახურულია; 2, ხის შენობა სამ განყოფილებად; ეს შენობა ვახრამოვისაგან იჯარით აღებულ ქალაქის მიწაზედაა, თუნუქით გადახურულია; 3, მიწის ნაჭერი, ლევაშოვის წყლის-ნაპირის ქუჩაზედ მდებარე, ზომით 260 ოთხკუთხი საჟენი; 4, მიწის ნაჭერი გურიის ქუჩაზედ № 53, ზომით 770 ოთხკუთხი საჟენი, ხის სახლით ყავრით დახურული. ეს მამულები იყიდება ქალაქის სასარგებლოდ დაფასების დარჩენილ გადასახადისა და სახაზინო და სახელმწიფო გადასახადების გასასტუმრებლად, სულ 1628 მან. 47 კაპეიკისა.

(1—6.—1)

ფოთის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამა 1901 წლის 20 ნოემბერს შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით **მოხდება საჯარო ვაჭრობა** ნიკოლოოზ და მიხეილ გაიკაზოვების ობოლთა უძრავ ქონების გასასყიდად; ეს მამული ნაჭერი მიწისაგან შესდგება, მდებარეობს დიდს კუნძულზედ № 48, ისტომინის ქუჩაზე, ზომით 150 ოთხკ. საჟ. ქვითკირის სახლით, რომელშიაც ხუთი ოთახია და თუნუქითაა დახურული; მიშენებული აქვს ხის შენობა ოთხის ოთახით, კრამიტით დახურული. ეს მამული უნდა გაიყიდოს ქალაქის სასარგებლოდ გაწერილ დაფასების დარჩენილ გადასახადისა და სახაზინო და სახელმწიფო გადასახადების გასასტუმრებლად—484 მან. 85 კაპეიკისა.

(1—6.—1)

გამგეობა

ქუთაისში წყლის მილის გამყვან ა. დ. მიხაილოვისა და კომპ. ამხანაგობისა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ პირველ სერიის აპები გავიდა და გამოცემულ იქმნა მეორე სერიის პაები.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, გამგეობის კანტორაში, ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში, და ქუთაისს ამხანაგობის კანტორაში.

(3—207—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 22-го Сентября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.